

ანგარიში/ 2018

8 1,




საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი

საკპატიენტი

SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

www.sakpatenti.gov.ge




ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|-----------|---|
| 5 | წინასიტყვაობა |
| 7 | ღონისძიებები 2018 |
| 22 | საერთაშორისო ურთიერთობები |
| 26 | კონფერენციები |
| 29 | სასაქონლო ნიშანი |
| 31 | გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება |
| 33 | დიზაინი |
| 35 | გამოგონება და სასარგებლო მოდელი |
| 37 | მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები |
| 39 | საავტორო უფლებები |
| 40 | კანონშემოქმედება და სამართალწარმოება |
| 41 | ფინანსები |
| 42 | საზოგადოებასთან ურთიერთობა, საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობა |
| 44 | სტატისტიკური მონაცემები |
| 56 | სამოქმედო გეგმა 2019 |

გამომცემელი:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – საქპატენტი
(საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება)
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.gov.ge



ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგინებ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშს. თქვენ გაცნობით საანგარიშო წელს განხორციელებულ პროექტებსა და აქტივობებს, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადების შემოტანისა და დაცვის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს.

2018 წელს საქპატენტი კვლავ აქტიურობდა საერთაშორისო ასპარეზზე. აღსანიშნავია, რომ WIPO-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესიის (ჟენევა, შვეიცარია) მიმდინარეობის დროს, სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის (პარიზის კავშირი) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე. მისი კანდიდატურა ცენტრალური ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა (CEBS) წარადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელი, ასევე, თავმჯდომარეობდა WIPO-ს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალურ კავშირს (მადრიდის კავშირი) და ადგილწარმომობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის სამუშაო ჯგუფს, რაც ცალსახად წარმოადგენს საქართველოს აქტიური ჩართულობის შედეგს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში.

სამღვარეულო ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და ამ სფეროში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების კუთხით, აღსანიშნავია 2018 წელს საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციის შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმომობის დასახელებებისა და წარმომობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

გასულ წელს საქპატენტმა უმასპინძლა მაღალი რანგის არაერთ თანამდებობის პირს. განსაკუთრებით აღსანიშნავია WIPO-ს გენერალური დირექტორის თანამშემის მილენიკ გეტაჰის ვიზიტი, რომელმაც WIPO-ს სახელით გამოხატა მზაობა საქართველოში პრიორიტეტული პროექტების ერთობლივად განხორციელებისთვის, რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ და ხელს შეუწყობს საქართველოში ამ სისტემის განვითარებას. გარდა ამისა, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით მეორედ ეწვია WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი შერიფ საადალა. ვიზიტის დროს ოფიციალურად გამოცხადდა გახსნილად საქპატენტის მიერ ნათარგმნი და ადაპტირებული WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების ქართულენოვანი კურსი (DL101GE), რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეს კურსი უკვე ქართულ ენაზე შესწავლოს. ასევე, ვიზიტის დროს შეფასდა საქპატენტის სასწავლო ცენტრში ტუტორების გადამზადებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავების პროექტი (TOT). WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელმა დირექტორმა ქართველ ტუტორებს ოფიციალურად მიანიჭა WIPO-ს აკადემიის აკრედიტირებული ტრენინგების სტატუსი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ საქპატენტის სასწავლო ცენტრის, არამედ WIPO-ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო პროექტში.

2018 წელს გაგრძელდა გლობალური პროექტების განხორციელებაც. EUIPO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, უწყებაში დაინერგა EUIPO-ს მიერ აპრობირებული დამატებითი ინსტრუმენტი „Quality და User Satisfaction Survey“ (USS) და დაიწყო მუშაობა სხვა ინსტრუმენტების დანერგვაზე (CESTO, Design Class, Front Office, HDB). ასევე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, პირველი ინტელექტუალური საკუთრების უწყებაა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, რომელიც EUIPO-ს ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტის (EUIPN) საძიებო ქსელს შეუერთდა. საქპატენტის ინტეგრაცია



აღნიშნულ ინსტრუმენტთან EUIPO-სთან წარმატებული თანამშრომლობის ფარგლებში გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც მიზნად ისახავს უწყებების ელექტრონული მმართველობის სისტემურ განვითარებასა და ინტეგრაციის შედეგი ეტაპის განხორციელებას.


საანგარიშო წელს გადაიღვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზის პროცედურის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. შედგა არაერთი სამუშაო ვიზიტი და ექსპერტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი. ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ, გასული წლების მსგავსად, ჩატარებულმა აქტიურმა მუშაობამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობისა და დარგის პოპულარიზაციის კუთხით, თავისი შედეგები გამოიღო, რაც გამოიხატა სხვადასხვა მიმართულებით განაცხადების მნიშვნელოვან მატებაში. კერძოდ, 2018 წელს წინა წელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა გამოგონების განაცხადების რაოდენობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 37%-ით გაიზარდა გამოგონების ადგილობრივი განაცხადების რიცხვი; 50%-ით გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სახელით მიღებული გამოგონების განაცხადების რაოდენობა. გარდა ამისა, საანგარიშო წელს 45%-ით გაიზარდა დეპონირებული ობიექტების რაოდენობაც. აღნიშნული მაჩვენებლები წლიდან წლამდე მატულობს, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ამაღლდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაინტერესება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართ.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი მესაბამისი სტატისტიკური მონაცემების გაცნობა საშუალებას მოგცემთ უკეთ გააანალიზოთ საქპატენტში ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული ტენდენციები.


საქპატენტი ცდილობს ყოველწლიურად უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს და მეტად განავითაროს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა. ვიმედოვნებ, რომ საქპატენტის გუნდი მომავალშიც ასეთივე წარმატებით გაართმევს თავს დასახულ ამოცანებსა და გეგმებს.

მანანა ფრუიძე
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“



ღონისძიებები



ლონისძიებები / 2018

იანვარი

11

ძალაში შევიდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებას და ხელს შეუწყობს სამოქალაქო-სამართლებრივი კუთხით განსაკუთრებული უფლებების ეფექტურ აღსრულებას.

23

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი მოხსენებით წარსდგა სამუშაო შეხვედრაზე საქართველოს, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე. შეხვედრის მიზანი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაძლიერება ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული რეფორმების მონიტორინგისა და ადვოკატირების კუთხით (ქობულეთი, საქართველო).


30



გაიმართა საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-4 სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ხელმძღვანელმა პირმა. კომისიაზე მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებებით თანამშრომლობის განვითარებაზე, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების კუთხით (მინსკი, ბელარუსი).

თებერვალი

7



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი მოხსენებით წარსდგა თურქეთის კულტურის სამინისტროს და თურქეთის მსოფლიო ფონდის დაფინანსებითა და ორგანიზებით მოწყობილ სამუშაო შეხვედრაზე, საავტორო უფლებებთან დაკავშირებით თემაზე: „საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული გამოწვევები და შეზღუდვები“. შეხვედრის მიზანი იყო მონაწილე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით (თბილისი, საქართველო).

9



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყება შეუერთდა მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის (UPOV) ახალ ელექტრონულ სისტემას – “UPOV PRISMA”, რომელიც განკუთვნილია მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადების მოსამზადებლად და სასურველი ქვეყნების შესაბამის უწყებებში ელექტრონულად გადასაცხადებად. აღნიშნული სისტემის გამოყენებით, მცენარეთა ახალი ჯიშების განაცხადების ელექტრონულად შეტანა შესაძლებელია, აგრეთვე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში.

15



ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების „სულგუნისა“ და „თუშური გუდას“ წარმოების სპეციფიკაციების გადახედვისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში, ჩატარდა სენსორული ანალიზი, რომლის შედეგად უფრო მუსტად განისაზღვრა აღნიშნული გეოგრაფიული აღნიშვნების ორგანოლექტიკური მახასიათებლები. შეხვედრა გაიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაფინანსებული პროექტის – „მდგრად ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ – ფარგლებში.

27



ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა სემინარი „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციისათვის მადრიდის სისტემის ეფექტური გამოყენება“. სემინარზე ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემის აქტიურმა მომხმარებლებმა – პატენტრწმუნებულებმა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებმა ექსპერტებისგან მიიღეს რეკომენდაციები ამ სისტემაში საქონლისა და მომსახურების მონაცემთა ბაზის მართვისა და ელექტრონული მომსახურების საკითხებზე.

28



გაიმართა შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძისა და WIPO-ს სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სექტორის დირექტორის მარკუს ჰოპერგერს შორის, რომელზეც მხარეებმა განიხილეს მონაცემთა ქართული ბაზების WIPO-ს სარეგისტრაციო სისტემაში ინტეგრირება. კერძოდ, WIPO-ს „E-Filing“-ის ინსტრუმენტის საშუალებით, ქართველ მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა ქართული ინტერფეისით ელექტრონულად გაავრცელოს საქპატენტში შეტანილი განაცხადი მადრიდის სისტემის წევრ ქვეყნებში. ამასთან, საქპატენტში არსებულ მონაცემთა ბაზაში ხდება იმ საერთაშორისო განაცხადების ავტომატურად მიღება, სადაც გავრცელების ქვეყნად მითითებული იქნება საქართველო.

მარტი

2



ქართული ადგილწარმოების დასახელებაზე – „ქინძმარაული“ უფლებების წარმატებით აღსრულების ფაქტი დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციაში. კერძოდ, დაკავებულ იქნა მენარმე, რომელსაც ბრალი ედებათ ქართული ადგილწარმოების დასახელებით „ქინძმარაული“ ეტიკეტირებული 830 ბოთლი კონტრაფაქციული ალკოჰოლური სასმელის წარმართვა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, დაქირავებული იურიდიული კომპანიის საშუალებით, ჩართული იყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში. სასამართლომ ბრალდებული პირის წინააღმდეგ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ასევე, განადგურდა აღნიშნული დასახელებით ნიშანდებული კონტრაფაქციული საქონელი (ვოლგოგრადი, რუსეთის ფედერაცია).

5



WIPO-ს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგებისთვის ჩატარდა რიგით მეოთხე ტრენინგი თემაზე: „სასაქონლო ნიშნები და მათი აღსრულება“. ტრენინგის მიზანი იყო სასაქონლო ნიშნების და სასაქონლო ნიშნებზე უფლებების აღსრულების მიმართულებით ლექციათა კურსის პროგრამის ტექნიკური და მეთოდოლოგიური მომზადების სწავლება. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებული შესაბამისი სასწავლო მასალებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავება, რომელიც განკუთვნილი იქნება საჯარო მოსამსახურეთათვის, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისათვის, იურისტებისთვის, მცირე და საშუალო მენარმეებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

6

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს და ალბანეთის კულტურის სამინისტროს საავტორო უფლებების დირექტორატის ორგანიზებით ჩატარებულ სუბრეგიონულ შეხვედრაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების თემაზე, კერძოდ, პეკინისა და მარაქემის ხელშეკრულებების საკითხზე. სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა მონაწილეებისათვის WIPO-ს მიერ ადმინისტრირებულ პეკინისა და მარაქემის ხელშეკრულებების, აგრეთვე, რეგიონში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული გამონწვევებისა და მათი რატიფიკაციისა და მიერთების პროცედურების გაცნობას (ტირანა, ალბანეთი).

12

უწყების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მიერ ორგანიზებულ სემინარში „რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები“, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის უწყების პრაქტიკის გაცნობას. აღნიშნული სახის ღონისძიებები ხელს უწყობს ქართველი ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებას (ალიკანტე, ესპანეთი).

14



გაიმართა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქართველო-ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის სხდომა, სადაც ხელი მოეწერა გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის N1/2018 გადაწყვეტილებას „ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში ცვლილებების შეტანის შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილება ითვალისწინებს, მხარეთა მიერ ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, ნაცვალგების წესით დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების სიების განახლებას. გადაწყვეტილების ხელმოწერის დღიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე დაცვა მიენიჭა ოთხ ახალ ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნას: „ტყიბულის ჩაი“, „მაჭახელას თაფლი“, „ქუთაისის მწვანელი“ და „ახალქალაქის კარტოფილი“. ასევე, განახლდა საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების სია.

15

უწყების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებით წარსდგნენ თურქეთის კულტურის სამინისტროსა და თურქეთის მსოფლიო ფონდის დაფინანსებითა და ორგანიზებით მოწყობილ სამუშაო შეხვედრაში თემაზე: „სავტორო უფლებების კოლექტიური მართვა და მათი ძირითადი რეგულაციები“. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა განსახილველ საკითხებზე სხვადასხვა ქვეყნების მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარება და პრობლემატური საკითხების გაუღრება. ამ ტიპის შეხვედრების შედეგად შესაძლებელი ხდება, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარება და საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება (კიევი, უკრაინა).

15



ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი, ბულგარეთის საპატენტო უწყების მოწვევით, დაესწრო კონფერენციას „სამრეწველო საკუთრება – დღეს და ხვალ“. ღონისძიების მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში არსებული და სამომავლო გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა (სოფია, ბულგარეთი).

19



დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილეს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების საკითხი, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული კანონის „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების ვენევის აქტთან“ შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, ცვლილებები მოიცავს ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განმარტების ვენევის აქტთან შესაბამისობაში მოყვანას, სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის განსაზღვრას, საქონლის სპეციფიკაციის ძირითადი ელემენტების დადგენასა და მათში ცვლილებების შეტანის პირობებს. ცვლილებები, ასევე, შეეხება ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების დაბუნებებს, განსაკუთრებული უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

19



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი ევროკავშირის ფარგლებს გარეთ გახდა ინტელექტუალური საკუთრების პირველი უწყება, რომელიც ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტის (EUIPN) საძიებო ქსელს შეუერთდა. უწყების ინტეგრაცია აღნიშნულ ინსტრუმენტთან EUIPO-სთან წარმატებული თანამშრომლობის ფარგლებში გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც მიზნად ისახავს უწყებების ელექტრონული მმართველობის სისტემურ განვითარებასა და ინტეგრაციის შემდეგი ეტაპის განხორციელებას. ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტი (EUIPN) არის ონლაინ საძიებო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მონაწილე უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომსახურებებისა და მათთან დაკავშირებული ხარისხის სტანდარტების შესახებ.

23



გაიმართა საქართველოსა და მოლდოვას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის თაობაზე მოლაპარაკებების მეორე რაუნდი. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ საქართველოსა და მოლდოვას საპატენტო უწყებების ხელმძღვანელები და ორი ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები. შეხვედრაზე მხარეებმა შეაჯერეს შეთანხმების ტექსტის ძირითადი ნაწილი, გაცვალეს უახლესი ინფორმაცია მხარეთა ქვეყნებში გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ და დასახეს თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

28



„ევროპის საპატენტო უწყებასთან ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ“ ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შეთანხმების მიზნით, საქართველოს ეწვია ევროპის საპატენტო უწყების (EPO) წარმომადგენლობა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში – საქპატენტი, სადაც მხარეებმა განიხილეს ვალიდაციის ხელშეკრულების ფარგლებში ევროპის საპატენტო უწყებასთან განხორციელებისა და სამომავლო თანამშრომლობის საქართველოს პერსპექტივები.

აპრილი

12



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის მხარდაჭერით გაიმართა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი – 2018, რომლის ორგანიზატორია ათასწლეულის გამონაგონების ფონდი. მესამე ადგილზე გასულ გუნდს პროექტისათვის „წყლის ფარი“ უწყებამ გადასცა სპეციალური პრიზი. ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მიზანია, ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისება.

14



ინტელექტუალური საკუთრების უწყებისა და ევროპის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) თანამშრომლობით, განხორციელდა ELSA-ს სასწავლო ვიზიტი, რომლის ფარგლებში პოლონეთიდან წარმოდგენილი 11 სტუდენტისათვის ჩატარდა ლექცია თემაზე: „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. ღონისძიება მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, კერძოდ, სტუდენტებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემისა და ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების დაცვის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

17



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებულ სემინარს, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საპატენტო სისტემას, საპატენტო ექსპერტიზასა და ადმინისტრაციულ სტრუქტურას (ჩენჯოუ, ხენანის პროვინცია, ჩინეთი).


26



2018 წელს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გადამწყვეტილებით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის – 26 აპრილის სლოგანად დასახელდა: „ცვლილებების მამოძრავებელი ძალა: ქალები ინოვაციისა და შემოქმედების სფეროში“. ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის კამპანიის ფარგლებში მოხდა ქალების ბრწყინვალე გონების, გამოგონებლობის, ცნობისმოყვარეობისა და გამბედაობის ჯეროვანი აღიარება, რომელთა წყალობითაც მსოფლიოში შემოდის ცვლილებები და ყალიბდება საერთო მომავალი.

მაისი

2



უწყების სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის ექსპერტებისათვის ჩატარდა პრაქტიკული სემინარი თემაზე: „საერთაშორისო განაცხადების ელექტრონული სისტემა“. სემინარი მიზნად ისახავდა მაღრიდის სისტემის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადების მიღებისა და გავრცელების ძირითადი მახასიათებლებისა და სიახლეების გაცნობას.

2



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთის კულტურის სამინისტროს და თურქეთის მსოფლიო ფონდის დაფინანსებითა და ორგანიზებით მოწყობილი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტის“ მესამე სამუშაო შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა შემდეგი თემები: „საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში სამომავლო თანამშრომლობა და პერსპექტივები“, „ცნობიერების ამაღლება საავტორო უფლებების მნიშვნელობასა და პირატობასთან ბრძოლაზე“. შეხვედრაში მონაწილეობის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნების შეხვედრულებებისა და პრაქტიკის გაცნობა (სტამბოლი, თურქეთი).

7

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, არსებული უახლესი პრაქტიკის გაცნობის მიზნით, უწყების წარმომადგენელი დაესწრო ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას: „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ არსებული სასაერთაშორისო პრაქტიკის შესახებ“, რომელზეც ძირითადი განსახილველი თემები იყო: სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების რეგისტრაციის არსობრივი და პროცედურული საკითხები და სააპელაციო პალატის მუშაობის სპეციფიკა (ალიკანტე, ესპანეთი).

15



ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით „ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სააპელაციო პალატის (BoA) საქმიანობის და პრაქტიკის მიმოხილვა“. შეხვედრას, რომლის მიზანია დაინტერესებული პირებისათვის EUIPO-ს სააპელაციო პალატის პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება, უძღვებოდნენ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო პალატის ხელმძღვანელი პირები.

17



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში – საქპატენტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, სადაც განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი, ბრენდინგის სტრატეგია, მისი ეკონომიკური მნიშვნელობა და დაცვის მექანიზმები. ამასთან, უწყების წარმომადგენლებმა დაინტერესებულ კომპანიებთან გამართეს ინდივიდუალური შეხვედრები, შეაფასეს კომპანიის ინტელექტუალური საკუთრების აქტივები, რომ მომავალში შესძლონ დახმარება მათი IP პორტფელის შემუშავებაში. შეხვედრა ჩატარდა პროექტის „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (VIP4SME) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ და ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საინფორმაციო, სამუშაო და პირისპირ შეხვედრების გამართვას.

31



გათორმდა შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახლებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთალიარებისა და დაცვის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, შვეიცარიის ტერიტორიაზე ნაცვალგების წესით მოხდა ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახლებების და წარმოშობის წყაროს დაცვა, ასევე, განისაზღვრა მათ გამოყენებასა და უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები (ბერნი, შვეიცარია).

4



WIPO-ს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგებისთვის ჩატარდა ბოლო მეხუთე ტრენინგი თემაზე: „საავტორო და მომიჯნავე უფლებები“. ტრენინგის მიზანი იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებებისა და მათი აღსრულების საკითხებზე სალექციო კურსის ტექნიკური და მეთოდოლოგიური მომზადების სწავლება. ვერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებული შესაბამისი სასწავლო მასალებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავება, რომელიც განკუთვნილი იქნება საჯარო მოსამსახურეთათვის, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისათვის, იურისტებისთვის, მცირე და საშუალო მენარმეებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

10



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სასწავლო კურსს „ინტელექტუალური საკუთრება, ტექნოლოგიური ტრანსფერი და ლიცენზირება“, რომელიც ორგანიზებული იყო WIPO-ს, ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო კვლევების ცენტრისა (CEIPI) და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის (INPI) მიერ. სემინარის მსვლელობის დროს განხილული იყო ტექნოლოგიური ტრანსფერის პროცესი, მისი ძირითადი ასპექტები, ინტელექტუალური საკუთრების როლი ამ სფეროში და ლიცენზირების ფორმები (სტრასბურგი, საფრანგეთი).

12


საქართველოს მთავრობის №328 დადგენილების შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტების, რეგისტრაციისა და დეპონირების საფასურებში. დადგენილების მიღების საფუძველი გახდა საქართველოს საპატენტო კანონში 2017 წელს შეტანილი ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა შესაბამისი საფასურების გადახდა დაცვის დამატებითი მოწმობის გაცემის პროცედურებისათვის სხვადასხვა ეტაპზე (რეგისტრაცია, გამოქვეყნება, ყოველწლიურად ძალის შენარჩუნება).

13



ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WTO) და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს საპატენტო კანონში 2018 წლის 11 იანვარს ძალაში შესული ცვლილებების საფუძველზე, „პატენტით დაცული გამოგონების და სასარგებლო მოდელის გამოყენებისათვის სავალდებულო ლიცენზიების გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის ტექსტის შემუშავება. შეხვედრაზე განხილულ იქნა გამოგონების დაცვის სტანდარტები TRIPS-ის შეთანხმებისა და სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის შესაბამისად, საპატენტო უფლებების გამონაკლისები და შეზღუდვები, ასევე, სპეციალურ სავალდებულო ლიცენზირების სისტემასთან დაკავშირებული საკითხები.

14



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის მიერ წარმატებით დაინერგა სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საძიებო სისტემა „Trademark Vision“. აღნიშნული დღიდან საქპატენტის ექსპერტებს, ისევე, როგორც განმცხადებლებს, საქპატენტის ვებგვერდის მეშვეობით, შეუძლიათ ხელოვნური ინტელექტის გამოსახულებითი ძიების სისტემის გამოყენება, რაც ხელს უწყობს სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებას. ამით საქართველო შევიდა იმ ქვეყნების (ევროკავშირი, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, ავსტრალია და ჩილე) სიაში, რომლებიც იყენებენ „Trademark Vision“-ის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას.

18

უწყების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო „მდგრად ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ ფარგლებში ორგანიზებულ სასწავლო ტურში, რომლის მიზანი იყო საფრანგეთისა და შვეიცარიის გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემისა და კონტროლის მექანიზმების გაცნობა, ასევე, ამ ქვეყნების მწარმოებლების, ასოციაციების, მაკონტროლებლების და სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება (ტონი, საფრანგეთი; მასი, შვეიცარია).

19



WIPO-ს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტის „ინტელექტუალური საკუთრება ახალგაზრდებისთვის და მასწავლებლებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა მასწავლებლების ტრენინგი. აღნიშნული პროექტი განკუთვნილია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დაწერონ საგანმანათლებლო პროგრამებში გამომგონებლობისა და ინოვაციის სწავლება. პროექტის მიზანია საფუძველი ჩაეყაროს ინტელექტუალური საკუთრების სწავლებას სკოლებში და უნივერსიტეტებში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის გააზრებასა და საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებას.

20



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და WIPO-ს თანამშრომლობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრება და განათლება“. კონფერენციაზე განიხილეს ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების მნიშვნელობა, ასევე, ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების სწავლების ძირითადი მეთოდოლოგიები როგორც დანყებით, ისე მომდევნო საგანმანათლებლო ეტაპებზე.

ივლისი

2



უწყების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს WIPO-ს მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის საერთო რეგულაციებში შემოთავაზებული ცვლილებების განსახილველად. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა და საქართველოს პოზიციების დაფიქსირება მნიშვნელოვანი იყო უწყებისათვის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო განხილულ საკითხებზე სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. იგეგმება საერთაშორისო ბიუროს მიერ განული რეკომენდაციების გათვალისწინება განხილული საკითხების შესახებ (ჟენევა, შვეიცარია);

12



გაიმართა რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკოზრეობის წინააღმდეგ“, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტისა და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მიერ. კონფერენცია მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას, კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავებას, უწყებათაშორისი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და უფლებების აღსრულების მიმართულებით დაინტერესებულ პირებს შორის კონტაქტების დამყარებას (ბათუმი, საქართველო).

17



მესამედ გაიმართა საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, რომელიც განხორციელდა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს (ELSA Georgia), ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის, ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მსოფლიო პროექტების ორგანიზაციისა (WPO) და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის პროგრამის (CLDP) ერთობლივი თანამშრომლობით. 17 ქვეყნის 45 სტუდენტმა ევროპისა და საქართველოს უნივერსიტეტებიდან მოისმინეს ლექციები ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის საშუალებების შესახებ.

19



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო სემინარს დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის სისტემის შესახებ, რომელიც ორგანიზებული იყო WIPO-ს მიერ. აღნიშნული სემინარის მიზანი იყო დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის საკითხების დეტალური გაცნობა, ასევე, ჰააგის სისტემის გაცნობა, ახალი ნევრების მიერთების სპეციფიკა და განხორციელებული სიახლეებისა და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების გაცნობა (ჟენევა, შვეიცარია).

20



ჩატარდა შეხვედრა ქართველი ჟურნალისტებისთვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით, რომლის ორგანიზატორი უწყებასთან ერთად იყო აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩო. ქართველი ჟურნალისტებისთვის აღნიშნულ შეხვედრებს უკვე ტრადიციული ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებას

20



საქართველოს პატენტების სრული კოლექცია განთავსდა WIPO-ს საპატენტო საძიებო სისტემაში „Patentscope“. აღნიშნული კოლექცია მოიცავს საქპატენტის მიერ გაცემულ ყველა პატენტს უწყების შექმნიდან (1992 წ.) დღემდე, ჯამში დაახლოებით 8850 დოკუმენტს. მასში შედის დაახლოებით 6900 პატენტი გამოგონებაზე და 1950 პატენტი სასარგებლო მოდელზე.

20

საქართველოს პატენტების კოლექცია განახლდა და შეივსო ევროპის საპატენტო უწყების (EPO) საძიებო სისტემაში „Espacenet“, რომელშიც თავმოყრილია 100 მილიონი საპატენტო დოკუმენტი. სისტემაში დოკუმენტების მიწოდება და კოლექციის განახლება ხდება თვეში ერთხელ, ავტომატურად. აღნიშნულ სისტემაში საქართველოს პატენტების განთავსება ხელს შეუწყობს ამ პატენტების მოძიების შესაძლებლობის გაუმჯობესებას მსოფლიო მასშტაბით და იხიონ სათანადო ადგილს დაიკავებენ მთელი მსოფლიოს ტექნიკის დონის დოკუმენტებს შორის.

21




ქართველი მოსამართლეების მონაწილეობით შედგა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა ინტელექტუალური საკუთრების საქმეებთან დაკავშირებით“, რომელიც გაიმართა აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით. შეხვედრაზე ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს აშშ-ს სასამართლოების გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. აშშ-ს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს და დაეხმარება ქართველ მოსამართლეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იმპლემენტაციაში.

26

საქპატენტი შეუერთდა WIPO-ს ელექტრონულ პლატფორმას „WIPO CASE“, რომელიც წარმოადგენს საქატენტო ექსპერტიზის მასალებზე ცენტრალიზებული წვდომის სისტემას და დაეხმარება საქატენტის ექსპერტებს საქატენტო ძიებაში, ინფორმაციის მოძიებასა და ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებაში.

აგვისტო

11



სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქატენტის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, ცვლილება შევიდა „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციაში. ცვლილების შესაბამისად, სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით წარმომადგენლის (პატენტრწმუნებული) სახელის და გვარის (სახელწოდება) და იურიდიული პირის შემთხვევაში, იურიდიული მისამართის ცვლილებისას არ მოხდება რეესტრში ცვლილების საფასურის გადახდა.

14



ლატვიის სურსათისა და ვეტერინარიის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებების საფუძველზე, მოხდა გეოგრაფიული აღნიშვნის „ჩურჩხელა“ უფლების დარღვევით ნიშანდებული პროდუქციის ლატვიის სავაჭრო ობიექტებიდან ამოღება. აღნიშნული განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისად შექმნილი გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის სხდომაზე, ქართული მხარის მოთხოვნით დაყენებული საკითხის განხილვის შესაბამისად.

24

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქატენტის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, დამტკიცდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამული უზრუნველყოფის (IPEFS) სისტემაში, სასაქონლო ნიშნის და დიზაინის რეგისტრაციაზე და ნაწარმოების ან/და მონაცემთა ბაზის დეპონირებაზე განაცხადის შეტანისას, ელექტრონულად წარმოსადგენი მონაცემთა ერთობლიობის (ფაილის) ფორმატი და მოცულობა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოსადგენი ფაილის ფორმატი ან/და მოცულობა არ არის მითითებული ბრძანებით დამტკიცებულ ჩამონათვალში, ფაილი წარმოდგენილ უნდა იქნეს მისაღები ფაილის ფორმატით, ხოლო დიდი მოცულობის ფაილები, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, შემცირებულ უნდა იქნეს (შეიკუმშოს) შესაბამის მოცულობამდე ან დაიყოს ნაწილებად, რომ დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სექტემბერი

3



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების უწყების წარმომადგენელი დავსწრო WIPO-ს და ნორვეგიის საქატენტო უწყების (NIPO) მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომელიც მიზნად ისახავდა ნორვეგიის საქატენტო უწყების გამოცდილების გაზიარებას, სასაქონლო ნიშნების სისტემისა და ექსპერტიზის პრაქტიკის შესახებ (ოსლო, ნორვეგია).


7

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტი ელექტრონული შიდა საქმისწარმოების სისტემა სრულად ამოქმედდა. სისტემა სამსახურებრივი დოკუმენტების ქალაქის გამოუყენებლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. აღნიშნული სისტემის შემვეობით მარტივი და ფექტური გახდა დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესის განხორციელება, რაც მიზნად ისახავს უწყებაში მართვის მექანიზმების შემდგომ გაუმჯობესებას და დახვეწას. აღნიშნული პროექტი განხორციელდა აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოსთან (USAID) ელექტრონული მართვის სისტემის განვითარების პროგრამის მხარდასაჭერად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

15

გაუქმდა efilingsakpatenti.ge საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე წვდომა და, შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადების ელექტრონულად მიღება, მათზე ინფორმაციის მოძიება და საქმისწარმოება მას შემდეგ ხორციელდება მხოლოდ online.sakpatenti.gov.ge-ს მეშვეობით.

17



საქართველოს ოფიციალური ვიზიტით მეორედ ეწვია WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი შერიფ საადალა. მან, WIPO-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გახსნა WIPO-ს აკადემიისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული, ინგლისურენოვანი საერთაშორისო სასწავლო კურსი „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“, რომელიც 2018 წელს მეორედ ჩატარდა საქართველოში. ამ სფეროში საქართველოს წარმატებული გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, სადაც, WIPO-ს აკადემიის გადაწყვეტილებით, პროფესიული განვითარების კურსი ჩატარდა.

19



დაიწყო რეგისტრაცია WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგად კურსზე (DL101GE), რომლის გავლის საშუალება მიეცა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ქართულ ენაზე. აღნიშნული კურსის ქართულენოვანი ვერსია შემუშავდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის მიერ, WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში. კურსის საპილოტე ვერსია, პირველ ეტაპზე, სკოლის პედაგოგებმა გაიარეს. კურსი უსასყიდლოა და მიზანშეწონილია ტექნიკური და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის, რათა, მიღებული ცოდნის საფუძველზე, წახალისონ მოსწავლეები საგამომგონებლო საქმიანობაში და სწორი მიმართულება მისცენ ღირებული გამოგონებებისა და ინოვაციური პროექტების შექმნის პროცესში.

24



გაიხსნა WIPO-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის დელეგაციამ, თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგილიძის ხელმძღვანელობით. გენერალური ასამბლეის სესიაზე, სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის (პარიზის კავშირი) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ნიკოლოზ გოგილიძე აირჩიეს, რომლის კანდიდატურაც ცენტრალური ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა (CEBS) წარადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელი, ასევე, თავმჯდომარეობს WIPO-ს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალურ კავშირს (მადრიდის კავშირი) და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების შენევის აქტის სამუშაო ჯგუფს, რაც წარმოადგენს საქართველოს აქტიური ჩართულობის შედეგს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში (ჟენევა, შვეიცარია).

4

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის პროცესში (ბათუმი, საქართველო).

6



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყების ექსპერტებმა გაიარეს WIPO-ს და ისრაელის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა ფარმაცევტიკის, მედიცინის, ორგანული ქიმიის და ბიოტექნოლოგიის სფეროს გამოგონებების სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სიცხადის შეფასების თავისებურებებს (იერუსალიმი, ისრაელი).

10



უწყების წარმომადგენელმა საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო ევროპის საპატენტო უწყების მიერ ორგანიზებულ ტექნიკურ შეხვედრაში სახელწოდებით „ხარისხი სათავეში“ (Quality at Source), რომელიც მიზნად ისახავდა EPO-სა და ვალიდაციის ქვეყნებს შორის საპატენტო მონაცემთა გაცვლის პლატფორმის ჰარმონიზებას პროგრამასთან „ხარისხი სათავეში“ (Quality at Source), რომელიც თავდაპირველად შეიქმნა, როგორც EPO-სა და მის წევრ ქვეყნებს შორის მონაცემთა გაცვლის სტანდარტი (ვენა, ავსტრია).

13



ექსპო ჯორჯიას მესამე პავილიონში, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა, სხვა ვერძო და საჯარო ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო „Start Business Solutions“-ის ორგანიზებით გამართულ გამოფენაში Start-In-Georgia – 2018 „ყველაფერი ჩემი სტარტაპისთვის“. ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს დამწყებ მენარმეებს სასურველი კავშირების დამყარებაში. აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურია და საქპატენტო მერე წელია მხარს უჭერს ორგანიზატორებს.

19




ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტმა ევროკავშირის ინიციატივისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო სანარმოებისათვის“ (Value of Intellectual Property for SME – VIP4SME) გამართა შეხვედრა პატენტრწმუნებულებთან და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე იურისტებთან. აღნიშნული პროექტი ეხმარება ქართველ მენარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ეკონომიკური ღირებულების შექმნას, ისე ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებას.

21



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყების წარმომადგენლებმა გაიარეს განვითარებული საფეხურის საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსი (AICC) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ქონების მენეჯმენტისა და სამენარმეო წარმატებისათვის. კურსის ორგანიზატორი იყო WIPO, კორეის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (KIPO), კორეის ინოვაციების გავრცელების ასოციაცია (KIPA) და კორეის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (KAIST) (სეული, კორეა).

24



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა სასაქონლო ნიშნის მე-100000 განაცხადი, რომელიც სარეგისტრაციოდ წარდგენილ იქნა ქართული კომპანიის მიერ, ფარმაცევტული პროდუქტებისთვის. ეს რიცხვი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სასაქონლო ნიშნის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის პოპულარობას და ღირებულებას ბიზნესის სექტორისთვის. განაცხადების ასეთი მზარდი რაოდენობა, ასევე, განაპირობა საქპატენტის აქტიურმა ნაბიჯებმა სამუშაო პროცესის სტანდარტების დახვეწისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ნოემბერი

1



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი წარსდგა ყოველწლიურ, საერთაშორისო ღვინის გამოფენაზე „EXPOVINA“. ღონისძიებაში მონაწილეობა ემსახურებოდა ქართული ღვინის გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პოპულარიზაციას. 65,000-მდე ღვინის იმპორტიორს მიენოდა ქართულ ადგილწარმოშობის დასახელებებზე სრულყოფილი ინფორმაცია (ციურხი, შვეიცარია).

3



უწყების მხარდაჭერით პირველად გაიმართა „ჭაჭის ფესტივალი“, რომელიც დაფუძნდა საქართველოს კულტურის პალატის ინიციატივით. ფესტივალზე, რომელიც ხელს უწყობს რეგისტრირებული ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის – „ჭაჭის“ პოპულარიზაციას, მონაწილეობა მიიღეს ჭაჭის მწარმოებელმა კომპანიებმა. ასევე, მოეწყო სპეციალური კუთხე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო სტენდებით, სადაც გამოფენილი იყო საქართველოს რეგიონების მიხედვით გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქცია. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია გეოგრაფიული აღნიშვნების, მათ შორის, „ჭაჭის“ დაცვისა და მნიშვნელობის შესახებ (თელავი, საქართველო).

5



კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყების წარმომადგენელი დაესწრო სემინარს სასაქონლო ნიშნების სამართლისა და ექსპერტიზის შესახებ, რომლის ორგანიზატორი იყო WIPO და კორეის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყება. მონაწილეები გაეცნენ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციებს და შეისწავლეს ექსპერტიზასთან დაკავშირებული სიახლეები (დაეჯეონი, კორეა).

12



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყება WIPO-ს მიერ ადმინისტრირებად პროგრამას „eFiling“-ს შეუერთდა, რისი საშუალებითაც ქართველი მომხმარებლები საერთაშორისო განაცხადის წარდგენას ელექტრონულად შეძლებენ, რაც გაუადვილებს მათ „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის“ წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ საქართველო ისმო-ს წევრი მესამე ქვეყანაა, რომელიც გამოიყენებს საერთაშორისო განაცხადების წარდგენის ელექტრონულ სისტემას.

12



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-ს სასაქონლო ნიშნების დიზაინების და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCT) მე-40 სესიას, სადაც განხილულ საკითხთა შორის იყო ქვეყნების ჯგუფის, მათ შორის, საქართველოს წინადადება SCT/39/8 REV.2, რომელიც ეხება ქვეყნების სახელებისა და ეროვნული მნიშვნელობის გეოგრაფიული სახელების დაცვას (ვენევა, შვეიცარია).

15



მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა ყოველწლიური კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფინალური ეტაპი გაიმართა. უწყება ყოველწლიურად არის ჩართული საკონკურსო კომისიის მუშაობაში და აქტიურად მონაწილეობს საკონკურსოდ წარდგენილი პროექტების შეფასების პროცესში, რადგან აღნიშნული კონკურსი ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების ინტერესის გაღვივებას, სწავლის დონის ამაღლებას, გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოვებული მოზარდების გამოვლენას და მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სტიმულირებას.

21

საქართველო მიუერთდა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (TRIPS) შეთანხმების ცვლილების ოქმს, რომლის თანახმად, წარმოების არმქონე ან შემზღვეული წარმოების მქონე ქვეყნების საჭიროებების გათვალისწინებით, სავალდებულო ლიცენზიის დამატებითი ფორმით შესაძლებელი გახდება მედიკამენტების წარმოება და ექსპორტი.

27

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-ს რიგით მე-3 მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრას, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის „Horizon 2020“-ის მიერ დაფინანსებული „ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ (VIP4SME) პროექტის ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ეხმარება მწარმეებს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შექმნასა და მის მენეჯმენტში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ეკონომიკური ღირებულებების შექმნას, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებას. შეხვედრაზე განხილულ იქნა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, სამომავლო გეგმები და რეკომენდაციები (ბორდო, საფრანგეთი).

დეკემბერი

5

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „სუამ“-ის სამდივნოს შეხვედრას. „სუამ“-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა განიხილეს წევრ სახელმწიფოებს შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით თანამშრომლობა. ქართულმა მხარემ, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, წამოაყენა ინიციატივა შეთანხმების პროექტში შეტანილ იქნეს ცვლილება დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „სუამ“-ის წევრ სახელმწიფოებს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთადიარებისა და დაცვის შესახებ (კიევი, უკრაინა).

24

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყებამ ორგანიზება გაუკეთა ტრენინგს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების განაცხადებზე საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასა და მადრიდის e-filing-ის სისტემასთან დაკავშირებით. ტრენინგი უფასო იყო და განკუთვნილი პატენტრწმუნებულთათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობები/ 2018

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნების განსახორციელებლად, რომელიც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სპეციალისტების გადამზადებას, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზის პროცედურის განვითარებასა და გაუმჯობესებას, ასევე, ბრენდინგის სისტემის განვითარებასა და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას, უწყება 2018 წელს აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოელ პარტნიორებთან და სამთავრობო უწყებებთან.

თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO)



WIPO-სა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – საქპატენტს შორის 2003 წელს გაფორმებული „ჩარჩო შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ“ საფუძველზე, საანგარიშო წელს უწყებების მიერ ერთობლივად, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- უწყებაში მიმდინარე პროცესების გასაცნობად, WIPO-ს როლზე საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროს განვითარებაზე სასაუბრო და სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით, 2018 წელს, საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით პირველად ეწვია WIPO-ს გენერალური დირექტორის თანაშემწე მილენიკ გეტაჰუნი. საქპატენტის მენეჯმენტთან შეხვედრისას ბ-მა გეტაჰუნმა WIPO-ს სახელით გამოხატა მზაობა საქართველოში პრიორიტეტული პროექტების ერთობლივად განხორციელებისთვის, რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ და საქართველოში ამ სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს.
- WIPO-ს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ ორჯერ იქნა ორგანიზებული (2017 და 2018 წწ.) ინგლისურენოვანი საერთაშორისო სასწავლო კურსი „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“. 2018 წელს ჩატარდა რიგით მეორე კურსი. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში საქართველოს წარმატებული გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საქართველო იყო პირველი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის,

სადაც, WIPO-ს აკადემიის გადამწყვეტილებით, პროფესიული განვითარების კურსი ჩატარდა. კურსი განკუთვნილია სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებებისა და შესაბამისი სამინისტროების ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მასში მონაწილეობა მიიღო 13 ქვეყნის წარმომადგენელმა. კურსის მიმდინარეობის გასაცნობად, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით მეორედ ეწვია WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი შერიფ საადალა. ვიზიტის დროს ოფიციალურად გამოცხადდა WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების ქართულენოვანი კურსის (DL101GE) გახსნის შესახებ, რომელიც თთარგმნა და შემუშავდა საქპატენტის მიერ. ამ კურსის გავლა ქართულ ენაზე დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელი გახდა 2018 წლის 19 სექტემბრიდან. ასევე, ვიზიტის დროს შეფასდა საქპატენტის სასწავლო ცენტრში ტუტორების გადამზადების და სასწავლო პროგრამების შემუშავების პროექტი (TOT). WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის აღმასრულებელმა დირექტორმა ქართველ ტუტორებს ოფიციალურად მიანიჭა WIPO-ს აკადემიის აკრედიტირებული ტრენერების სტატუსი და მათ მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ არა მხოლოდ საქპატენტის სასწავლო ცენტრის, არამედ WIPO-ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო პროექტებში. ვიზიტის ფარგლებში, შედგა შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან ლევან დავითაშვილთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან გენადი არველაძესთან, რომლებმაც განიხილეს WIPO-ს აკადემიასთან თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

- საქართველოში მოქმედი პატენტრწმუნებულებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე იურისტებისთვის ჩატარდა WIPO-ს სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სექტორის დირექტორის მარკუს ჰოპერგერის სემინარი. უწყებების მიერ ორგანიზებულ ამ შეხვედრაზე დაინტერესებულ პირებს გააცნეს სასაქონლო ნიშნების დაცვის მნიშვნელობა, კომპანიების ბრენდინგის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის სისტემის ძირითადი მახასიათებლები და სიახლეები, ასევე, საზღვარგარეთ სასაქონლო ნიშნების ძიების, განაცხადის წარდგენისა და მართვის პროცესები. ვიზიტის ფარგლებში, WIPO-ს სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სექტორის დირექტორმა მარკუს ჰოპერგერმა შეხვედრა გამართა, აგრეთვე, საქპატენტის მენეჯმენტთან, სადაც განხილულ იქნა სასაქონლო ნიშნების თემასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტები (საქპატენტის მონაცემთა ბაზების WIPO-ს სარეგისტრაციო სისტემაში ინტეგრირება; საქართველოში მადრიდის სისტემის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადების მიღება და გავრცელება).
- 2018 წელს უწყებამ მუშაობა დაიწყო საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანაზე „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების ქვენვის აქტთან“. ამ მიზნით საქართველოს სამუშაო ვიზიტით

ენვია WIPO-ს ბრენდინგისა და დიზაინის დეპარტამენტის ლისაბონის განყოფილების დირექტორი ალექსანდრა გრაციოლი და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელი პასკალ ბერნარდონი. დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განსაზღვრებების ჟენევის აქტთან შესაბამისობაში მოყვანას, სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის განსაზღვრას, საქონლის სპეციფიკაციის ძირითადი ელემენტების დადგენასა და მასში ცვლილებების შეტანის პირობებს. სამომავლოდ ცვლილებები, ასევე, შეეხება ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების დაზუსტებას, განსაკუთრებული უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

- უწყების სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2018 წელს ორდღიანი პრაქტიკული სემინარი ჩატარა WIPO-ს ბრენდინგისა და დიზაინის სექტორის პროექტების მენეჯერმა პიტერ ბეიკერმა. სემინარი სახელწოდებით – „საერთაშორისო განაცხადების ელექტრონული სისტემა“ ეხებოდა მადრიდის სისტემის მეშვეობით საერთაშორისო განაცხადების მიღებისა და გავრცელების ძირითადი მახასიათებლებისა და სიახლეების გაცნობას. მონაწილეები გაეცნენ აღნიშნული სისტემის ელექტრონულ ფორმატში განაცხადის შეტანის, დამუშავების, უწყებებს შორის გადაგზავნისა და განმცხადებელთან კომუნიკაციის შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ საქართველო გახდება WIPO-ს წევრი მესამე ქვეყანა, რომელიც გამოიყენებს საერთაშორისო განაცხადების წარდგენის ელექტრონულ სისტემას. მოცემულ ეტაპზე ამ სისტემას იყენებენ მხოლოდ ბენელუქსის ქვეყნებისა და ავსტრალიის ინტელექტუალური საკუთრების უწყებები.
- WIPO-ს აკადემიის ხელშეწყობით, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგებისთვის ჩატარდა მეოთხე და მეხუთე ტრენინგი თემაზე: „სასაქონლო ნიშნები და მათი აღსრულება“ და „საავტორო და მომიჯნავე უფლებები“. ამ ტრენინგების მიზანი იყო სასაქონლო ნიშნების და სასაქონლო ნიშნებზე, საავტორო და მომიჯნავე უფლებებისა და მათი აღსრულების საკითხებზე სალექციო კურსის პროგრამის ტექნიკური და მეთოდოლოგიური მომზადების სწავლება. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებული შესაბამისი სასწავლო მასალებისა და პრაქტიკული საკარტოების შემუშავება, რომელიც განკუთვნილი იქნება საჯარო მოსამსახურეთათვის, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისათვის, იურისტებისთვის, მცირე და საშუალო მენარმეებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის. ტრენინგს უძღვებოდნენ უცხოელი (WIPO) და ქართველი ექსპერტები. აღსანიშნავია, რომ მანამდე ტრენინგები ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების თითოეულ ობიექტზე (დიზაინი, გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, გამოგონებები და სასარგებლო მოდელები) და დასრულდა აღნიშნული ტრენინგებით. პირველი ტრენინგი ქართველი ლექტორებისათვის WIPO-ს ექსპერტთა მისიამ 2015 წლის დეკემბერში გამართა. პროექტის დასრულების შემდგომ, ქართველ ლექტორებს გადაეცათ WIPO-ს სერთიფიკატები და ოფიციალურად მიენიჭათ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის აკრედიტირებული ტრენინგების სტატუსი.

- საერთაშორისო პროექტის „ინტელექტუალური საკუთრება ახალგაზრდებისთვის და მასწავლებლებისთვის“ (IP4YOUTH&TEACHERS), ქართველი მასწავლებლებისთვის, ჩატარდა ტრენინგი, რომლის მიზანი იყო საფუძვლის ჩაყრა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ინტელექტუალური საკუთრების სწავლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის გააზრებასა და საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებას. აღნიშნული პროექტი განკუთვნილია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დაწერონ საგანმანათლებლო პროგრამებში გამომგონებლობისა და ინოვაციის სწავლება. ქვეყნის მასშტაბით დაინტერესებულ და მოტივირებულ პედაგოგებს ჰქონდათ საშუალება, აემიღებინათ კვალიფიკაცია ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში და გაცნობოდნენ გამომგონებლობის სწავლების მეთოდებს.
- საანგარიშო წელს დაიწყო რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემიის დისტანციური სწავლების ზოგად კურსზე (DL101GE), რომლის გავლა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ქართულ ენაზე. აღნიშნული კურსი, რომელიც უსასყიდლოა, ქართულ ენაზე გადამუშავდა უწყების მიერ WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან თანამშრომლობით. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეს WIPO-ს აკადემიის სერტიფიკატი ენიჭება. კურსის მიმდინარეობისას მონაწილეებს მენტორობა გაუწიეს WIPO-ს მიერ აკრედიტირებული საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენინგებმა. აღნიშნული პროექტის ანალოგიურად, იგეგმება WIPO-ს აკადემიის სპეციალიზებული დისტანციური სწავლების კურსების ქართული ვერსიების შემუშავება, ინტელექტუალური საკუთრების ცალკეულ ობიექტებზე (სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლებები, გამოგონებები და სხვ.).
- 2018 წელს უწყება წარსდგა WIPO-ს გენერალური ასამბლეის 58-ე სესიაზე (ვენეცია, მედიცარია), რომლის მიმდინარეობის დროს სამრწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის (პარიზის კავშირი) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე იქნა არჩეული. მისი კანდიდატურა ცენტრალური ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოთა ჯგუფმა (CEBS) წარადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენელი, ასევე, თავმჯდომარეობდა WIPO-ს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სპეციალურ კავშირს (მადრიდის კავშირი) და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის ლისაბონის შეთანხმებისა და ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის სამუშაო ჯგუფს, რაც ცალსახად წარმოადგენს საქართველოს აქტიური ჩართულობის შედეგს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობაში. ასამბლეის ფარგლებში, გაიმართა უწყების თავმჯდომარის ოფიციალური შეხვედრა WIPO-ს გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან. ფრენსის გარიმ ხაზი გაუსვა საქართველოს თვალსაზრის მიღწევებს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე, აღნიშნა, რომ საქპატენტთან ურთიერთობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა და კიდევ უფრო ინტენსიური გახდა ორმხრივი თანამშრომლობა. შეხვედრაზე მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს მიმდინარე და სამომავლო პროექტების

განხორციელების შესახებ. ასამბლეის მიმდინარეობის დროს ნიკოლოზ გოგილიძე შეხვდა, აგრეთვე, WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილეს ბინინგ ვანგს. შეხვედრისას აღინიშნა, რომ WIPO გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, მადრიდის საქონლისა და მომსახურების პროგრამაში MGS და მადრიდის eFiling სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის დასრულებაში. ამასთან, გადაწყდა, რომ საქართველოში ჩატარდება WIPO-ს სერვისების წამახალისებელი ღონისძიება.

- 2018 წელს, გასული წლების მსგავსად, ქართველი ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, WIPO-ს მიერ დაფინანსდა WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსები და მაგისტრატურის ერთწლიანი პროგრამა (მანხაი, ჩინეთი).
- საანგარიშო წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები მონაწილეობდნენ WIPO-ს მუდმივმოქმედი კომიტეტების სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებში.



თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროს დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებაში, ინტელექტუალური საკუთრების უწყებას მხარს უჭერს აშშ-ს მთავრობა. 2018 წელს, საქართველოში აშშ-ს საელჩოს და აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით, გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- წინა წლების მსგავსად, გაიმართა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა ქართველი ჟურნალისტებისთვის, რომლის ორგანიზატორი ყოველწლიურად არის CLDP-ის პროგრამა და საქართველოში ამერიკის საელჩო. შეხვედრას, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლებას, უძღვებოდნენ ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები. ჟურნალისტები გაცნენ ინტელექტუალური საკუთრების არსსა და მნიშვნელობას, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და უფლებების აღსრულების მიმართულებით საქართველოში არსებულ ვითარებას.
- CLDP-ს პროგრამისა და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქართველი მოსამართლეებისთვის. ამერიკელმა მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებულ დავებზე. შეხვედრაზე, ასევე, იმსჯელეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქართველოს სააპელაციო პალატის და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოისმინეს ამერიკელი

მოსამართლეების მოსაზრებები და რეკომენდაციები. აშშ-ს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს და დაეხმარება ქართველ მოსამართლეებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაში.

- ჩატარდა რიგით მესამე საერთაშორისო საზაფხულო სამართლის სკოლა თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“. საზაფხულო სკოლის ორგანიზატორები გახლდნენ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო (ELSA Georgia) და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქართველო. ღონისძიების მხარდაჭერები იყვნენ ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, მსოფლიო პროექტების ორგანიზაცია (WPO) და CLDP-ის პროგრამა. ELSA-ს საზაფხულო სამართლის სკოლაში მონაწილეობის მისაღებად, 17 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა 45 სტუდენტი. სტუდენტებმა ევროპული და ქართული უნივერსიტეტებიდან მოისმინეს საქართველოს ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სპეციალისტების ლექციები ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებსა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის საშუალებების შესახებ, ასევე, მიიღეს დეტალური ინფორმაცია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ფუნქციონირების შესახებ.




თანამშრომლობა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან (EUIPO)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს – საქართველო და EUIPO-სთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც მოიცავს საქართველოს ინტელექტუალური უწყების მხარდაჭერას სფეროს განვითარების პროცესში, 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- EUIPO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, უწყებაში დაინერგა EUIPO-ს მიერ აპრობირებული დამატებითი ინსტრუმენტები, როგორცაა „Quality და User Satisfaction Survey“ (USS) და დაინერგა მუშაობა სხვა ინსტრუმენტების დანერგვაზეც (CESTO, Design Class, Front Office, HDB). ასევე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქართველო, ინტელექტუალური საკუთრების პირველი უწყება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, რომელიც EUIPO-ს ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტის (EUIPN) საძიებო ქსელს შეუერთდა. საქართველოს ინტეგრაცია აღნიშნულ ინსტრუმენტთან EUIPO-სთან წარმატებული თანამშრომლობის ფარგლებში გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია უწყებების ელექტრონული მმართველობის სისტემურ განვითარებასა და ინტეგრაციის შემდეგი ეტაპის განხორციელებისათვის. EUIPO-ს EUIPN-ი ონლაინ საძიებო სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მონაწილე ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მომსახურებებისა და მასთან დაკავშირებული ხარისხის სტანდარტების შესახებ.
- EUIPO-ს სააპელაციო პალატის პრაქტიკისა და გა-

მოცდილების გაზიარების მიზნით, საანგარიშო წელს გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით „EUIPO-ს სააპელაციო პალატის (BoA) საქმიანობის და პრაქტიკის მიმოხილვა“. დაინტერესებული პირებისათვის EUIPO-ს სააპელაციო პალატის წარმომადგენლებმა განიხილეს ევროკავშირის უახლესი პრაქტიკა სასაქონლო ნიშნებთან და დიზაინებთან მიმართებაში, მათ შორის, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის უარის თქმის საფუძვლები, სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნები, ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული სასაქონლო ნიშნების მიმართება, სასაქონლო ნიშნების და დიზაინის ურთიერთკავშირი.



თანამშრომლობა ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი და EPO, 2018 წელს, მუშაობდნენ საქართველოს მთავრობასა და EPO-ს შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის ხელშეკრულების ტექსტზე. ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შეთანხმების მიზნით, საქართველოში იმყოფებოდნენ ევროპის საპატენტო უწყების წარმომადგენლები პასკალ ფლიესი და ფრანკო ჰანარტი. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან, ბატონ გენადი არველაძესთან და საქპატენტის ხელმძღვანელობასთან, სადაც მხარეებმა განიხილეს ვალიდაციის ხელშეკრულების ფარგლებში ევროპის საპატენტო უწყებასთან მომავალი თანამშრომლობისა და აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს განევრიანების პერსპექტივები. საქპატენტში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა დაასრულეს ვალიდაციის შეთანხმების ტექსტზე მოლაპარაკებები. ევროპის საპატენტო უწყებაში, რომელიც ახორციელებს საპატენტო განაცხადების ექსპერტიზას და გასცემს ევროპულ პატენტებს, განევრიანებულია 38 სახელმწიფო.

- 2018 წელს საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის მხარეებს შორის გაიმართა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების თაობაზე. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ საქართველოსა და მოლდოვას საპატენტო უწყებების ხელმძღვანელები და ორი ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრაზე მხარეებმა შეაჯერეს შეთანხმების ტექსტის ძირითადი ნაწილი, ამასთან, გაცვალეს უახლესი ინფორმაცია მხარეთა ქვეყნებში გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ და დასახეს თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს მხარეების მიერ ნაცვალგების წესით გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთაღიარებას, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მათი უფლებების დაცვისა და გამოყენების საკითხების დარეგულირებასა და უზრუნველყოფას.



საერთაშორისო თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების უწყებებთან

- 2018 წელს გაფორმდა შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ. ხელმოწერის ცერემონია გაიმართა შვეიცარიის კონფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების ოფისში. საქართველოს მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილიძემ. აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, შვეიცარიის ტერიტორიაზე ნაცვალგების წესით მოხდა ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებების და წარმოშობის წყაროს დაცვა, ასევე, განისაზღვრა მათ გამოყენებასა და უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები.

- საანგარიშო წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – საქპატენტსა და სინგაპურის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას (IPOS) შორის. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია ჩარჩოს შექმნა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მხარეთა შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებისა და ხელშეწყობისათვის. მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს ინოვაციის ხელშეწყობისა და ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების სტიმულირების ინსტრუმენტს ორივე ქვეყანაში, აღიარეს მჭიდრო თანამშრომლობის უპირატესობა ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გაძლიერების საქმეში, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის მეშვეობითა და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობით.

კონფერენციები/ 2018



სახელი:

„საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“

თარიღი და ადგილი:

12-13 ივლისი, 2018 წელი, ბათუმი, საქართველო

ორგანიზატორი:

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი; ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP)

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტური განხორციელების, კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და დაინტერესებულ პირებს შორის კონტაქტების დამყარების ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა რიგით მე-4 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“.

კონფერენციაზე განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმები, მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები, შიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საკითხები, ასევე, ისაუბრეს ბრენდინგის სტრატეგიაზე, ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენასა და კონტრაფაქციული საქონლის ონლაინ სივრცეში გაყიდვებზე. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი



სავაჭრო სივრცის შესახებ ასოცირების შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს განხორციელებულ ცვლილებებსა და სხვა აქტუალურ თემებზე.

ღონისძიების მონაწილეებმა განიხილეს, აგრეთვე, ბოლო პერიოდში კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოში გადადგმული ნაბიჯების შედეგები და არსებული გამოწვევები.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მონაწილემ, მათ შორის: აშშ-ს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების სასაზღვრო და საბაჟო დაცვის განყოფილების, აშშ-ს სასაქონლო ნიშნებისა და პატენტების უწყების (USPTO), ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის, სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებების, საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ადგილობრივი და უცხოური კერძო კომპანიების, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს, სახელმწიფო უწყებებისა და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებმა.

კონფერენციის ორგანიზატორების პარტნიორები იყვნენ: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა – საქართველო, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. სპონსორობას უწევდნენ კომპანიები – „შალვინო“, იურიდიული ფირმა „ბი-ელ-სი“ და „მიქაძე, გვეგვაკორი, თაქთაქიშვილის იურიდიული კომპანია“.





სახელი:
„ინტელექტუალური საკუთრება და განათლება“

თარიღი და ადგილი:
20-21 ივნისი, 2018 წელი, თბილისი, საქართველო

ორგანიზატორები:
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი; ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)


ინტელექტუალური საკუთრების სფეროს სწავლების მნიშვნელობისა და მსოფლიო მასშტაბით ინტელექტუალური საკუთრების სწავლების პროგრამების გაცნობის მიზნით, გაიმართა კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრება და განათლება“. კონფერენციას დაესწრნენ საქართველოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, ზოგადი და უმაღლესი



საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების, ასევე, ქვეყნის მასშტაბით საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული სამთავრობო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების მნიშვნელობა, ასევე, ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების სწავლების ძირითადი მეთოდოლოგიები როგორც დაწყებით, ისე მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურებზე. მონვეული ექსპერტების მიერ გაზიარებულ იქნა სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული წარმატებული მაგალითები. გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას WIPO-ს საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, დისტანციური სწავლების კურსების, პროფესიული განვითარების პროგრამების, სამაგისტრო პროგრამებისა და საზაფხულო სკოლის შესახებ.





სასაქონლო

ნიშანი



სასაქონლო ნიშანი

ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ყველაზე გამოყენებად ობიექტზე, სასაქონლო ნიშანზე განაცხადების ოდენობის გასაზრდელად, რისი მიღწევაც შესაძლებელია ექსპერტიზის პროცესის დახვეწისა და ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე, კანონმდებლობის მოდერნიზაციის გზით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტი, 2018 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- უწყება შეუერთდა WIPO-ს მიერ ადმინისტრირებად პროგრამას “Madrid eFiling”-ს, რისი საშუალებითაც ქართველი მომხმარებლები საერთაშორისო განაცხადის წარდგენას შეძლებენ ელექტრონულად, რაც გაუადვილებს მათ „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის“ წევრ ქვეყნებში სასაქონლო ნიშნის გავრცელების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ საქართველო WIPO-ს წევრი მესამე ქვეყანაა, რომელიც გამოიყენებს საერთაშორისო განაცხადების წარდგენის ელექტრონულ სისტემას. მოცემულ ეტაპზე ამ სისტემას იყენებენ მხოლოდ ბენელუქსის ქვეყნებისა და ავსტრალიის ინტელექტუალური საკუთრების უწყებები;
- ინტელექტუალური საკუთრების ცენტრმა დაასრულა WIPO-ს მიერ ადმინისტრირებადი პროგრამის – მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერის (MGS) ინტერფეისის ქართულ თარგმანზე მუშაობა, რაც განაპირობებს ამ სისტემაში ქართულ ენაზე მუშაობის შესაძლებლობას. MGS-ის გამოყენება გაუადვილებს განმცხადებლებს სასაქონლო ნიშნის როგორც საქართველოში, ისე მადრიდის სისტემის წევრ ქვეყნებში რეგისტრაციის პროცედურას;
- გავრცელდა მუშაობა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასაქონლო ნიშნების ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის მიზნით;
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი, გახდა ინტელექტუალური საკუთრების პირველი უწყება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, რომელიც ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) ხარისხის სტანდარტების ინსტრუმენტის (EUIPN) საძიებო ქსელს შეუერთდა. აღნიშნული ინსტრუმენტის დანერგვა მიზნად ისახავს უწყებების ელექტრონული მმართველობის სისტემურ განვითარებასა და ინტეგრაციის შემდეგი ეტაპის განხორციელებას;
- 2018 წელს დაინერგა სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების ხელოვნური ინტელექტის მქონე საძიებო სისტემა – Trademark Vision. აღნიშნულმა გაამარტივა გამოსახულების ძიების პროცესი როგორც საქპატენტის ექსპერტების, ისე განმცხადებლებისთვის. ამით საქპატენტი შეუერთდა ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის და ჩილეს ინტელექტუალური საკუთრების უწყებების სიას, რომლებიც იყენებენ Trademark Vision-ის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიას;
- უწყების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტ ISO

9001 2015-თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა აუცილებელი ქმედებები. აღნიშნული სტანდარტი ადგენს დოკუმენტური უზრუნველყოფის ერთიან მოთხოვნებს და მიმართულია სასაქონლო ნიშნის განაცხადზე ექსპერტიზის საშუალო პროცესის მონესრიგებასა და ორგანიზებაზე, ამ პროცესის ძირითადი რისკების გამოვლენასა და მათი მართვის ან შემცირების საშუალებების განსაზღვრაზე. ასევე, საშემსრულებლო დისციპლინის, პერსონალური პასუხისმგებლობის და შედეგების ამაღლებაზე;

• 2018 წელს მკვეთრად მოიმატა სასაქონლო ნიშნებზე ელექტრონულად შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ და შეადგინა საერთო რაოდენობის 69%. გარდა ამისა, განმცხადებლებისათვის სასაქონლო ნიშნის განაცხადის წარდგენის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის ივნისიდან დაინერგა განაცხადის წარდგენისა და ელექტრონული საქმისწარმოების ნესი, რისთვისაც დაწესდა საფასურის 20%-იანი შეღავათი. ეს გადაწყვეტილება დადებითად აისახა ელექტრონული საქმისწარმოების მოთხოვნით წარდგენილი განაცხადების რაოდენობაზე. ამ ცვლილების ძალაში შესვლიდან 2018 წლის ბოლომდე ელექტრონული საქმისწარმოების მოთხოვნით შემოტანილი განაცხადების რაოდენობა არის საერთო რაოდენობის 27%.

სასაქონლო ნიშნების, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში, 2018 წელს, ანალოგიურად წინა წლისა, ლიდერობს განაცხადები ფარმაცევტულ პროდუქტებზე (1121), ასევე, განაცხადების დიდი რაოდენობა მოდის რეკლამასა და საოფისე სამსახურზე (897). შემოსული განაცხადების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან (476), აშშ-დან (456) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან (399). 2018 წელს „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, მადრიდის შეთანხმების ოქმით“ საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 15 განაცხადი, ამავე დროს, შემდგომი გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 13 განაცხადი.


სასაქონლო ნიშანზე ადგილობრივ განაცხადებში წამყვანი კლასებია:


- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 320 განაცხადი;
- 33-ე კლასი: ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა) – 269 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 294 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანზე ეროვნული პროცედურითა და მადრიდის ოქმის მიხედვით შემოტანილ განაცხადებში წამყვანი კლასებია:

- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 1121 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 897 განაცხადი;
- მე-9 კლასი: ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები და ა.შ. – 753 განაცხადი.

| სასაქონლო ნიშანი | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული ნიშნები | | |
|------------------------|-------------|----------------------|-------------|-------------|------------------------|-------------|-------------|
| | | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | 1478 | 1664 | 1373 | 656 | 630 | 833 |
| | უცხოური | 669 | 768 | 691 | 745 | 548 | 591 |
| საერთაშორისო პროცედურა | | 2504 | 3145 | 3101 | 3248 | 2407 | 3257 |
| სულ | | 4651 | 5577 | 5165 | 4649 | 3585 | 4681 |





გეოგრაფიული
აღნიშვნა და
ადგილწარმოშობის
დასახელება

გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

ახალი გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების გამოვლენის, რეგისტრაციისა და მათი სამღვარგარეთ დაცვის, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების დახვეწისა და მათზე უფლებების აღსრულების, ასევე, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, საანგარიშო წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – საქპატენტი, განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:


- 2018 წელს დასრულდა ღვინის „ხაშმის საფერავი“ ადგილწარმოშობის დასახელებად რეგისტრაციის პროცედურა. აღნიშნული დასახელების რეგისტრაციით, ოფიციალურად განისაზღვრა ღვინის „ხაშმის საფერავი“ განსაკუთრებული მახასიათებლები და რეპუტაცია;
- უწყებამ დაიწყო ღვინის „ბოლნისი“ ადგილწარმოშობის დასახელებად რეგისტრაციის პროცედურა. აღნიშნული დასახელების დაცვის მიზანია, ღვინის „ბოლნისი“ განსაკუთრებული თვისებებისა და მაღალი რეპუტაციის ხაზგასმა;
- „OriGIn საქართველოსთან“ თანამშრომლობით მიმდინარეობდა პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელების მოძიება და კვლევა მათი შემდგომი დაცვის მიზნით;
- „OriGIn საქართველოს“ თაოსნობით, საქპატენტის ბაზაზე გამოიცა სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომი


„გეოგრაფიული აღნიშვნები – ხარისხი და განვითარება“ (ავტორები: დავით გაბუნია, მერაბ კვიციანი, ეკა გაბუნია). გამოცემის მიზანია დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს ინტელექტუალური საკუთრების ამოიქმედების არსის გაცნობიერებასა და აგროსექტორში მის გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

2018 წელს, „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების“ საფუძველზე, საქართველომ ადგილწარმოშობის დასახელებების გაცრცელების მოთხოვნით შემოვიდა 57 განაცხადი, რომლებშიც ტრადიციულად ლიდერობს ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები. საქპატენტის მიერ გაიცა საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების უფლება შემდეგ ობიექტებზე:


- „ქინძმარაული“ – 5 მონობა;
- „მუკუზანი“, „ხვანჭკარა“ – 4-4 მონობა;
- „ახაშენი“, „წინანდალი“ – 3-3;
- „ნაფარეული ნითელი“, „ნაფარეული თეთრი“ „მიტარბი“ და „ბორჯომი“ – თითო მონობა;
- „ჭაჭა“ – 3 მონობა;
- „ტვიში“, „ვაზისუბანი“ – 2-2 მონობა;
- „სულგუნი“, „კახეთი“, „მანავი“, „საირმე“, „ნაბედლავი“, „ტიბაანი“ – თითო მონობა.

| გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული დასახელებები | | |
|--|----------------------------|----------------------|------|------|-----------------------------|------|------|
| | | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 |
| ეროვნული პროცედურა | გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 | 0 | 1 | 4 | 0 | 0 |
| | ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 |
| საერთაშორისო პროცედურა (ლისაბონის შეთანხმება) | | 50 | 3 | 57 | 53 | 31 | 0 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | | 45 | 34 | 19 | 36 | 34 | 36 |





დღიგაინი




ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის, დიზაინის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე, დიზაინის განაცხადის წარდგენასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწის, გაუმჯობესების და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2018 წელს შესრულდა შემდეგი ქმედებები:


- ქართულ ენაზე ითარგმნა ევროპის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) მიერ ლოკარნოს საერთაშორისო კლასიფიკაციის საფუძველზე შემუშავებული პროდუქტების დასახელებების ჰარმონიზებული მონაცემთა ბაზა DesignClass, რაც მომხმარებელს დაეხმარება ზუსტად მიუთითოს და თარგმნოს იმ პროდუქტების დასახელებები, რომლებშიც ჩართულია ან რომლებსთვისაც გამოიყენება დიზაინები;
- უნყება მუშაობდა „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე“ ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის მიზნით;
- ინტელექტუალური საკუთრების ცენტრის – საქპატენტის

საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტ ISO 9001 2015-თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მუშაობა გაგრძელდა 2018 წელს. აღნიშნული სტანდარტი ადგენს დოკუმენტური უზრუნველყოფის ერთიან მოთხოვნებს და მიმართულია დიზაინის განაცხადზე ექსპერტიზის სამუშაო პროცესის მონერვივებასა და ორგანიზებაზე, ამ პროცესის ძირითადი რისკების გამოვლენასა და მათი მართვის ან შემცირების სამუშაოების განსაზღვრაზე. ასევე, საშემსრულებლო დისციპლინის, პერსონალური პასუხისმგებლობის და შედეგების ამაღლებაზე;


- განმცხადებლებისათვის დიზაინის განაცხადის წარდგენის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის ივნისიდან დაიწყო განაცხადის წარდგენისა და ელექტრონული საქმისწარმოების წესი, რისთვისაც დაწესდა საფასურის 20%-იანი შეღავათი. ეს გადაწყვეტილება დადებითად აისახა ელექტრონული საქმისწარმოების მოთხოვნით წარდგენილი დიზაინის განაცხადების რაოდენობაზე. ამ ცვლილების ძალაში შესვლიდან 2018 წლის ბოლომდე ელექტრონული საქმისწარმოების მოთხოვნით შემოტანილი განაცხადების რაოდენობა არის საერთო რაოდენობის 53%.

| დიზაინი | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული განაცხადები | | |
|------------------------|-------------|----------------|----------------------|------|------|----------------------------|------|------|
| | | | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | იურიდიული პირი | 9 | 16 | 14 | 18 | 9 | 14 |
| | | ფიზიკური პირი | 30 | 51 | 29 | 14 | 32 | 30 |
| | უცხოური | 2 | 11 | 13 | 4 | 4 | 11 | |
| საერთაშორისო პროცედურა | | | 232 | 174 | 126 | 231 | 121 | 145 |
| სულ | | | 273 | 252 | 182 | 267 | 166 | 200 |





გამოგონება



საგამომგონებლო სფეროს პოპულარიზაციის, საპატენტო ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეროვნული თვისის მუშაობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- უწყების მიერ დაარსების დღიდან გაცემულ ყველა პატენტზე ინფორმაცია განთავსდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) საპატენტო საძიებო სისტემაში – „პატენტსკოპი“ (Patentscope). Patentscope არის საპატენტო საძიებო სისტემა, რომელშიც თავმოყრილია როგორც საერთაშორისო საპატენტო განაცხადები (PCT განაცხადები), ასევე მრავალი ქვეყნის საპატენტო განაცხადები და პატენტები, ჯამში 70 მილიონი დოკუმენტი. 2018 წელს Patentscope-ს დაემატა 8850 დოკუმენტი საქართველოდან: 6900-მდე პატენტი გამოგონებაზე და 1950-ზე მეტი პატენტი სასარგებლო მოდელზე. კოლექციის განთავსებას წინ უძღოდა საქპატენტის ახალ ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა საფუძვლიანი დამუშავება და მომზადება WIPO-ს სტანდარტების შესაბამისად. მონაცემები მოიცავენ როგორც ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, ასევე პატენტის აღწერილობის სრულ ტექსტს. სისტემაში დოკუმენტების მიწოდება და კოლექციის განახლება მოხდება ავტომატურად თვეში ერთხელ. აღნიშნულ სისტემებში საქართველოს პატენტების განთავსება ხელს შეუწყობს ამ პატენტების მოძიების შესაძლებლობის გაუმჯობესებას მსოფლიო მასშტაბით და ისინი სათანადო ადგილს დაიკავებენ მთელი მსოფლიოს ტექნიკის დონის დოკუმენტებს შორის;
- 2018 წელს საქართველოს პატენტების კოლექციით განახლდა და შეივსო ევროპის საპატენტო უწყების (EPO) საძიებო სისტემა – „ესპასნეტი“ (Espacenet). აღნიშნულ სისტემაში, რომელშიც თავმოყრილია 100-ზე მეტი ქვეყნის 100 მილიონი საპატენტო დოკუმენტი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი –საქპატენტი მონაცემებს ათავსებს 2005 წლიდან. საანგარიშო წელს მოხდა ყველა იმ პატენტის ატივრთვა, რომელიც უწყების დაარსების დღიდან დღემდე გაიცა. სისტემაში ქართული დოკუმენტების განახლება ყოველთვიურად მოხდება, რაც დაინტერესებულ პირებს მსოფლიო მასშტაბით ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას გაუადვილებს;
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი შეუერთდა WIPO-ს ელექტრონულ პლატფორმას – „ვაიპო ქეისი“ (WIPO CASE), რომელიც უწყების საპატენტო ექსპერტებს დაეხმარება საპატენტო ძიებასთან და ექსპერტიზასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებაში და ექსპერტიზის ხარისხის და ეფექტიანობის შემდგომ გაუმჯობესებაში. WIPO CASE წარმოადგენს საპატენტო ექსპერტიზის მასალებზე ცენტრალიზებული წვდომის სისტემას. მისი საშუალებით სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებებს შესაძლებლობა ეძლევათ უსაფრთხოდ გაცვალონ საპატენტო განაცხადის ძიებასთან და ექსპერტიზასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ამგვარად წარმოადგენს ე.წ. „საქმის განაწილების“ პროგრამების (work sharing) განხორციელების ინსტრუმენტს. პლატფორმაზე წვდომის

მოპოვებას წინ უძღოდა საქართველოს პატენტების კოლექციის განთავსება აღნიშნულ სისტემაში.

- სამოქმედო გეგმის თანახმად, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უწყებამ 2018 წელს ჩაატარა 322 წინასწარი ძიება, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) თანამშრომლობით. აღსანიშნავია, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მონაწილეობა „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ განახლებული 2018 წლის კონკურსში (რუსთაველის ფონდი), „თანდაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ პროგრამაში (GITA), მოსწავლე გამოგონებელთა და მკვლევართა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ (რუსთაველის ფონდი) და სტარტაპების კონკურსში „Creative Business Cup (CBC) Georgia“.

2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 12%-ით გაიზარდა გამოგონების განაცხადების რაოდენობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 37%-ით გაიზარდა გამოგონების ადგილობრივი განაცხადების რიცხვი; 50%-ით გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სახელით მიღებული გამოგონების განაცხადების რაოდენობა. გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ განაცხადებში 2018 წელს ლიდერობს განაცხადები ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნებზე (A განყოფილება), ყველაზე მეტი უცხოური განაცხადი შემოვიდა აშშ-დან (44), გერმანიიდან (15) და იტალიიდან (13).

გამოგონებაზე ადგილობრივი განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:

- A ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები – 31 განაცხადი;
- B ტექნოლოგიური პროცესები; ტრანსპორტირება – 24 განაცხადი;
- E მშენებლობა; სამთო საქმე; სტაციონარული ნაგებობები – 14 განაცხადი.

გამოგონებაზე უცხოური განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:


- A ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები – 70 განაცხადი;
- C ქიმია; მეტალურგია – 50 განაცხადი;
- E მშენებლობა; სამთო საქმე; სტაციონარული ნაგებობები – 9 განაცხადი.


